პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

№ 78 (1248) | სამშაბათი, 1 ივლისი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სავაჭრო ორგანიზაციების ღირსების საქმე

მიმდინარე წელს სამართლიანად უწოდებენ სპარტაკიადების წელს, ვინაიდან გეგმაშია მოეწყოს საინტერესო ღონისძიებები — „დინამოს“, „სპარტაკის“, პროფკავშირთა, მოსწავლეთა სპარტაკიადები, მრავალი საკავშირო და მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრება, რომლებშიც ათასობით სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის ბევრი იქნება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელიც. ამიტომ, როგორც არასდროს, ამჟამად მწვავედ დგას სპორტსმენთა სპორტინვენტარით მომარაგების საკითხი, ვინაიდან შეუძლებელია რაიმე წარმატების მოპოვება, თუ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ფართო მასას არ მოვამარაგებთ მაღალხარისხოვანი სპორტული იარაღებით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით.

ამიტომ დროა გადავხედოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ მიმართებით რესპუბლიკაში. ჩვენის აზრით ყველაფერი რიგზე არა გვაქვს და თუ სავაჭრო ორგანიზაციები მათს წინაშე დასახულ ამოცანებს არ გადაჭრიან, საქმე შეფერხდება.

რედაქციაში მრავალი წერილი შემოდის როგორც კორესპონდენტების, ისე მკითხველებისაგან. გვეკითხებიან, სად შევიძინოთ სხვადასხვა ინვენტარი, სპორტული ფორმა, რატომ არ მარაგდება ამ სახის საქონლით ქალაქები, რაიონები.

ფიზკულტურის საქალაქო და რაიონული კომიტეტებისაგან მოვითხოვთ, რომ მათ შეჯიბრებებზე გამოიყვანონ ლამაზად ჩაცმული სპორტსმენები, მუდამ მზადყოფნაში ჰქონდეთ სპორტული ბაზები. მაგრამ როგორ შეასრულებენ ამ დავალებას რუსთავის სპორტული ორგანიზაციები, როცა ეს ქალაქი ნაკლებად მარაგდება მაღალხარისხოვანი სპორტსაქონლით და სპორტული იარაღების უქონლობის გამო ჭიანურდება ახალი სპორტული დარბაზის გახსნა?

ხომ ყველა იმის მოწმე ვართ, რომ სპორტინვენტარით მოვაჭრე მაღაზიები სავსეა არასპორტული დანიშნულების საქონლით და ეს იმიტომ ხდება, რომ „კულტვაჭრობა“ და სხვა დამამზადებელი ორგანიზაციები ალმაცერად უყურებენ სპორტული საქონლის შემოზიდვის საქმეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადება მარტო რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დაკომპლექტებით როდი ამოიწურება. სპარტაკიადის ფინალს წინ უსწრებს ეტაპები, რომლებშიც ათასობით სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. ყველა მათგანს ჭირდება ინვენტარი, სპორტული ფორმა. მაშასადამე, საჭიროა ერთობლივი მუშაობა, რაც გულისხმობს სავაჭრო და ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მჭიდრო კავშირს. სავაჭრო ორგანიზაციები ყოველთვის უნდა იყვნენ საქმის კურსში, რამდენი და რა სახის საქონელი გვჭირდება. ამასთან, დამზადებული ნაწარმი მაღალი ხარისხისა უნდა იყოს.

გამოვუშვათ მეტი და მაღალხარისხოვანი სპორტული საქონელი, გავითვალისწინოთ სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა მოთხოვნები, ჩვენი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადებაში! ასეთი დევიზით უნდა იმუშაონ რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა.



სურათებზე: საუკეთესოთა შორის საუკეთესოები აღმართავენ სტუდენტთა ზონალური თამაშების დროშას.

მარჯვნივ — საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე მიესალმება შეჯიბრების მონაწილეებს.

ფოტო მ. ბორაშვილისა.



**გასულ კვირას თბილისის «დინამოს» სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სტუდენტთა სპორტული თამაშების ზონალური შეჯიბრება.**

**საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სტუდენტ-სპორტსმენებს მიესალმა და სწავლასა და სპორტში შემდგომი წარმატება უსურვა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.**

**დედაქალაქის გაზებზე მიმდინარეობს სპორტული ბრძოლები.**

## ცურვა

სტუდენტთა ზონალურ შეჯიბრებაზე ცურვაში მოლდავეთის გუნდი არ ჩამოვიდა, ამიტომ ამ რესპუბლიკის სპორტსმენები მხოლოდ პირად პირველობაზე მონაწილეობდნენ ზოგიერთ სახეობაში. პირველივე სტარტიდან საწყლოსნო ბილიკებზე გაჩაღდა საინტერესო ბრძოლები. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ფინალურ გაცურვაში კარგახანს ერთად მიდიოდნენ კალმიკოვა (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) და მისი აზერბაიჯანელი კოლეგა კოლესნიკოვა. კალმიკოვამ მხოლოდ ფინიშზე შეძლო წინ გასვლა და ძნელი გამარჯვების მოპოვება.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა ქალთა შორის აღინიშნა აზერბაიჯანის რეკორდსმენის მატვეევას აშკარა უპირატესობით, რომელმაც მოიპოვა კიდეც პირველი ადგილი. ამ სახეობაში სუსტად გამოვიდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები ნათაძე, ხოლოდი და ანდრონიკაშვილი, რომლებმაც შესაბამისად მეხუთე, მეექვსე და მერვე ადგილები დაიკავეს.

სამაგიეროდ, ამავე დისტანციაზე ამ სახეობაში რევანში აიღეს ვაჟებმა. ბუკარეევმა უკანასკნელ სწორზე სწრაფი ბიძგით გაასწრო ერევნელ არაქელიანს, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანის რეკორდსმენს პენკნის და პირველობა მოიპოვა.

რომ ამ შეჯიბრებისათვის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟები უკეთ არიან მომზადებული, ვიდრე მოწინააღმდეგეები, ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყო ესტაფეტამ 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით. სტარტზე გამოსულ 4 კოლექტივს შორის (თბილისის, ბაქოს, ერევნის ფიზკულტურისა და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდები) პირველი ეტაპიდანვე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. მასპინძლებმა შეძლეს ძნელი გამარჯვების მოპოვება. ქალთა ესტაფეტა 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით დამთავრდა ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უპირატესობით. თბილისელები გამოვიდნენ მეორე ადგილზე.

**ო. გოგიაძე**

## ჩოგბურთი

ჩოგბურთელთა პირველობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და სომხეთის გუნდები. შეჯიბრება პირადგუნდური ხასიათისა იყო. აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტსა და სომხეთის პედინსტიტუტის წარმომადგენელთა შეხვედრა დამთავრდა სომეხი სპორტსმენების სასარგებლოდ ანგარიშით 4:3.

გასულ კვირას მოეწყო ნახევარფინალური შეხვედრები. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა სომხეთის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი, ხოლო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა — მოლდავეთის მედინსტიტუტი. ორივე შეხვედრა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 6:1.

ამრიგად, ფინალში გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების წარმომადგენლები.

**ლ. ფალავანდიშვილი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

## ფრენბურთი

ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის პირველობის მოპოვებისათვის ბრძოლაში ჩაება შვიდი კოლექტივი — აზერბაიჯანისა და სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტები, აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სომხეთის პედინსტიტუტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მოლდავეთის ორი გუნდი.

პირველი კალენდარული დღის შეხვედრიდან ყველაზე საინტერესო იყო სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მოლდავეთის პედინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის გუნდების შეხვედრა. სომხეთის გუნდმა, სადაც შედიან რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ფრენბურთელები, შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება — 3:1.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების მატჩი ადვილად მოიგეს საქართველოს წარმომადგენლებმა — 3:0 (15:7, 15:5, 15:2). აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებმა ასეთივე „მშრალი“ ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს მოლდავეთის სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენლები

**ფ. ლეონიძე**

## ძალოსნობა

ძალოსანთა შეჯიბრებაში ჩაებნენ სამი რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის წარმომადგენლები. სომხეთის გუნდი გათამაშებაზე არ ჩამოვიდა.

შეჯიბრება დაიწყეს მჩატე წონის ძალოსნებმა. აქ თავიდანვე დაწინაურდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი რ. დათიკაშვილი, რომელმაც სამჭიდში 275 კილოგრამი დააგროვა და 35 კილოგრამით გაუსწრო მეორე ადგილზე მყოფ მ. უსეინოვს (აზერბაიჯანი). ქვემსუბუქ წონაში წინ კვლავ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები იყვნენ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ი. წოწოლაშვილმა, რომელსაც კვალდაკვალ მისდევდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ვ. კოლონჩენკო, სამჭიდის ჯამში 300 კილოგრამი აჩვენა, როცა მის უახლოეს მეტოქეს 295 კგ ჰქონდა.

**კ. ზაუტაშვილი,**
**საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.**

## მძლეოსნობა

ნაყოფიერი გამოდგა შეჯიბრების პირველი დღე. ვაჟთა შორის 100 მეტრზე ფინალურ გარბენში ექვსი მონაწილიდან ოთხი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი იყო. მათ შორის წინასწარ გარბენში ყველაზე კარგი შედეგი — 10,9 ჰქონდა ლ. ანთაძეს. ფინალში მან ეს შედეგი 0,1 წამით გააუმჯობესა, მაგრამ მკერდით ჩამორჩა თანაგუნდელ რ. ტრაპაიძეს და იძულებული გახდა მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყო. მესამე ადგილი მოიპოვა ზ. ჯარაშნელმა — 10,9.

ქალთა შორის უძლიერესი იყო ვ. მასკოვსკაია (კიშინიოვის პედინსტიტუტი) — 11,9. იგი მეორე ადგილზე გამოვიდა 80 მეტრი თარჯრბენშიც, სადაც უძლიერესის სახელი მოიპოვა პირად პირველობაში მონაწილე რ. ქოჩლაძემ (სახელმწიფო უნივერსიტეტი), რომელმაც ფინალში აჩვენა ოსტატის შედეგი — 11,1 წ. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული გამოვიდა ლ. შევჩენკო (ბაქოს ფიზკ. ინსტიტუტი)—1,45 მ. ე. ჯუგუროვა (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) გამარჯვებულს ჩამორჩა 5 სანტიმეტრით. ბირთვის კვრაში ყველაზე უკეთესი შედეგი—12,28 მ აჩვენა ერევნელმა ნ. ბელენკოვამ. გ. ბრიტვინას (საქართველოს ფიზკ. ინსტიტუტი), რომელმაც მესამე ადგილი მოიპოვა, გაასწრო რ. კურჟელმაც (ბაქოს ფიზკ. ინსტიტუტი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის გ. ჩადუნელის გამარჯვებით აღინიშნა ვაჟთა შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში. მან 3,03 მეტრით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა ი. ოლეინიკოვმა (ბაქოს ფიზკ. ინსტიტუტი) — 45,73 მ. ბ. თარხანოვი გამოვიდა მესამე ადგილზე—44,75 მ.

(დასასრული მე-4 გვ.).

## საბჭოთა კავშირი—იუგოსლავია

ზაგრებში ამას წინათ დამთავრებულმა ამხანაგურმა საჭადრაკო მატჩმა იუგოსლავიისა დ საბჭოთა მოჭადრაკეებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. სხვადასხვა ქვეყნის სპორტული გაზეთები იუწყებიან, რომ ეს იყო მსოფლიოში ყველაზე ძლიერი საჭადრაკო კოლექტივების შეხვედრა და ამიტომ მისი შემოქმედებითი შედეგები ახლო მომავლის მსჯელობის საგანი იქნებაო.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა საპასუხისმგებლო მატჩი დამაჯერებლად მოიგეს ანგარიშით 19,5:12,5 და კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ ისინი სამართლიანად არიან მსოფლიო ჩემპიონები.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიგეს ყველა ტური: პირველი ანგარიშით 4,5:3,5, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე — 5:3 თვითეული.

საინტერესოა შედეგები ცალკეულ დაფებზე: ე. გელერმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა იუგოსლაველთა იმედი გროსმაისტერი ა. მატანოვიჩი. მ. ტაიმანოვმა მოუგო ოსტატ ბ. ჯ.ურაშევიჩს—2,5:1,5. ა. კოტოვმა ორ პარტიაში დაამარცხა ოსტატი მ. მატულოვიჩი, ხოლო დანარჩენ ორში შეხვდა ა. ფუდერერს — 1:1. ი. ბოლესლავსკიმ და პ. ტრიფუნოვიჩმა ყველა ოთხი პარტია ყაიმით დაამთავრეს. საყაიმო ანგარიშით დასრულდა აგრეთვე პ. კერეს-ს. გლიგორიჩის, ვ. კორჩნოი-ბ. ივკოვის და ლ. პოლუგაევსკი-ბ. მილიჩის შეხვედრები — 2:2. ა. სუეტინმა ითამაშა მხოლოდ ორი პარტია. ერთი მოუგო ბ. რაბარს, მეორე ყაიმით დაამთავრა. მ. ბერტოკთან. ნ. კროგიუსი სამჯერ შეხვდა მ. ბერტოკს და სამივე პარტიაში ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

## გავაცხოველოთ სპორტული საქონლით ვაჭრობა საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში

# გაᲓᲐᲕᲡᲘᲜᲯᲝᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ

მას შემდეგ, რაც არტელი „სპორტი“ გადაკეთდა თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სპორტნაწარმის ფაბრიკად (დირექტორი ს. მხეიძე), საგრძნობლად გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის არა მარტო რაოდენობა და ხარისხი, არამედ ასორტიმენტიც. ტყავის ნაწარმის საამქრომ ამას წინათ აითვისა 18-ნაჭრიანი მაღალი ხარისხის ბურთების წარმოება, რომელმაც კარგად ჩააბარა პირველი გამოცდა, თუ შემდეგში თავი არ იჩინა ძველმა სენმა, როცა რაოდენობრივი ზრდით გატაცებული მწარმოებლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ხარისხს. თუმცა, ცოდვა გამხელილი ჯობია — უკვე არის ამისი პირველი ფაქტები. როგორც წესი, ბაზარზე გასატან მზა პროდუქციას თან უნდა ახლდეს მისთვის აუცილებელი დამხმარე მოწყობილობაც. მის გარეშე საქონელი სრულყოფილად არ ჩაითვლება.

ხშირად ხდება, რომ დამკვეთ ორგანიზაციას 3-4 ბურთზე ერთ სპეციალურ გასაბერს აძლევენ. თითქოს არაფერია, ერთი გასაბერით შეიძლება 100 ბურთიც გაიბეროს, მაგრამ შეუსაბამობა სწორედ მაღაზიაში იჩენს თავს. ფაბრიკას განზრახული აქვს მიმდინარე წელს გამოუშვას 400 ათასამდე ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის ამგვარი ბურთი, მაგრამ არ უნდა დაივიწყონ, რომ საჭიროა მათ თან გააყოლონ საჭირო რაოდენობის დამხმარე მოწყობილობაც.

აქვე იკერება სხვადასხვა სახისა და ზომის სპორტული ფეხსაცმელი. წლიური გეგმით გათვალისწინებული 56 ათასი წყვილიდან განვლილი ხუთი თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 65,8 პროცენტით. რამ გამოიწვია ჩავარდნა, როცა რესპუბლიკის სპორტულ მაღაზიებში თითქმის არ იშოვება ამ სახის საქონელი? ხამირე ტყავის უქონლობამ. მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს ბაზა (უფროსი გ. გიორგაძე) ფაბრიკას დროულად ვერ აწვდის მაღალი ხარისხის მასალას, რის გამო ხშირად ნაწარმი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, სწორედ ამიტომ სამხრეთ ოსეთის მაღაზიებში დღემდე თაროზე აწყვია აქ შეკერილი ბუცები.

არ სრულდება ტანვარჯიშული, ძალოსნური, მძლეოსნური და საჭიდაო ფეხსაცმლების დამზადების გეგმები. მიმდინარე წელს ველოტუფლები, საჭიდაო და შტანგისტთა ფეხსაცმელი არც ერთი წყვილი არ დაუმზადებიათ, თუმცა „საქმომარაგებას“ (უფროსი რ. კვანტალიანი) დიდი ხანია მიეცა მითითება ამ საკითხის დროულად მოგვარების შესახებ.

ფაბრიკაში მოუგვარებელია დამხმარე მასალის, განსაკუთრებით რვაწვერიანი ძაფის — „მაკეის“ საკითხი. დირექციამ არაერთხელ მიმართა სათანადო ორგანოებს მაღალხარისხოვანი საქონლის საწარმოებლად ამ ძაფის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ საგეგმო კომისიას მხედველობიდან გამორჩა იგი. ასევე შეიძლება ითქვას ბურთების სასარჩულე მასალის შესახებაც. გეგმით გათვალისწინებული 18 ათასი მეტრიდან აქ დღემდე არც ერთი მეტრი არ მიუღიათ.

— ყვითელი მაისურები გაქვთ?

— არ არის.

— ტრუსები კალათბურთელებისათვის?

— არა.

— საწვრთნელი კოსტიუმი მაინც მომეცით.

— არა გვაქვს, ამხანაგო!

ასეთ დიალოგს ხშირად მოჰკრავთ ყურს რესპუბლიკის სპორტულ მაღაზიებში. რაშია საქმე, რატომ არ არის ის, რაზეც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა? პასუხისათვის შორს წასვლა საჭირო არაა. საკითხს ნათელს ჰფენს რესპუბლიკის სპორტნაწარმის ფაბრიკა-ქარხნების საქმიანობის შესწავლა.

მარტო აღნიშნულ ფაბრიკაში ტრუსების გამოშვების გეგმის შესრულების ძირითად მუხრუჭს წარმოადგენს მთავარი საფეიქრო ვაჭრობის ბაზა (მმართველი შ. რუხაძე), რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 235 ათასი მეტრი სატინის ნაცვლად ფაბრიკას მხოლოდ 18 ათასი მიაწოდა. არც ფაბრიკის ხელმძღვანელობაა ყველაფერში მართალი. აქ საქმეს იადვილებენ, თავს არ იწუხებენ პროდუქციის შეღებვით, ხოლო საწვრთნელ კოსტიუმებს ისეთი მცირე რაოდენობით უშვებენ, რომ იგი სალაპარაკოდაც არ ღირს.

ფაბრიკაში დამზადებული ხარიხა და ტაიჭი მეტად დაბალი ხარისხისაა. ტყავის ნაცვლად გრანიტოლით გადაკრული ტექნიკური ქეჩის გარეშე ისინი ვერავითარ დატვირთვას ვერ უძლებენ და ხმარების რამდენიმე კვირის შემდეგ ხშირად მათვე უბრუნდებათ... ამჯერად შესაკეთებლად.

უკანასკნელ პერიოდში ღრმა ღელეში დაიწყო ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სპორტული საქონლის ფაბრიკის გაერთიანება-გაფართოება, რომელმაც დამთავრების შემდეგ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს რესპუბლიკა, მაგრამ სამუშაოები იმდენად ნელი ტემპით მიმდინარეობს, რომ იგი რამდენიმე წელიწადს მაინც გაგრძელდება.

თბილისში არის სპორტსაქონლის მწარმოებელი სხვა დაწესებულებანიც. მაგალითად, „დინამოს“ ფაბრიკა. მართალია, მეორე საამქრო, რომელიც მხოლოდ ორძელებსა და ღერძებს ამზადებს, გადაჭარბებით ასრულებს გეგმას, მაგრამ უკანასკნელ წლებში აქ აღარ აკეთებენ ტაიჭებს, ხარიხას, ტანვარჯიშულ მაგიდას, ტრამპლინს, ტანვარჯიშულ სკამებს, ლეიბებს, რომლებსაც 1950 წლამდე ამზადებდნენ და საკმაოდ კარგადაც.

**ო. ბელაშვილი.**

## ამოცანა ნათელია, მაგრამ...

თბილისის ცენტრალურ უნივერმაღთან კარგახანია გაიხსნა სპორტული საქონლის სპეციალური სექცია, რომლის ამოცანაა მომხმარებელს მიაწოდოს მისთვის საჭირო პროდუქცია. მაგრამ იმის გამო, რომ მომმარაგებელი ორგანიზაციები არასათანადო რაოდენობით გვაწვდიან სპორტულ საქონელს, ვერ ვაკმაყოფილებთ მოთხოვნილების 40%-საც კი. ხშირად განვიცდით სხვადასხვა ზომისა და ფერის მაისურების, ტრუსების, სათხილამურო კოსტიუმების, ფეხსაცმლის ნაკლებობას. როგორც წესი, სარეალიზაციოდ ყოველთვის უნდა გვქონდეს ტანვარჯიშული ფეხსაცმელი 30-დან 45 ნომრის ჩათვლით. ჩვენ კი თუ გვაქვს, მაშინც მხოლოდ 35-43 ნომრები. ნაწარმის ხარისხი ხშირად დაბალია, რაც მყიდველთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

მეტად დეფიციტური გახდა 58-მანეთიანი საწვრთნელი კოსტიუმები, რეზინის საბანაო ქუდები, ველოფეხსაცმელი. არა გვაქვს ალპინისტური წერაყინები, წრიაპები, თოკი, საიერიშო კოსტიუმები. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენმა სექციამ რამდენიმე ათეული ტონა სხვადასხვა წონის განტელი გაყიდა, უკანასკნელ ხანებში კი ესეც ძნელი საშოვნელი გახდა.

საქონელი არის, მაგრამ საჭიროა მომმარაგებელი ორგანიზაციები უფრო გულისხმიერად ეკიდებოდნენ საქმეს.

ჩვენთვის, სექციის მუშაკთათვის, ნათელია ჩვენი ამოცანა, მაგრამ მისი განხორციელება მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული.

**ქ. იაშალაშვილი,**
სექციის გამგე.



ს უ რ ა თ ზ ე: უნივერმაღის სპორტსაქონლის სექციასთან.





არტელ „სპორტის“ მიერ წინა წლებში გამოშვებული ბურთები დაბალი ხარისხისა იყო, რაც მომხმარებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. მას შემდეგ, რაც ეს საწარმო თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სპორტნაწარმის ფაბრიკად გადაკეთდა, აქ აითვისეს მაღალი ხარისხის ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის ბურთების წარმოება. იმ საამქროებში, სადაც ამ ძვირფას ინვენტარს ამზადებენ, განსაკუთრებით ხალისიანად შრომობენ ახალგაზრდები.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — გამომჭრელ საამქროში. ქვევით—ამოწმებენ მზა პროდუქციას.

ფოტო გ. ქიმერიძისა.

# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲡᲐᲦᲔᲑᲔᲚᲘ?

სოფლის რაიონების მომარაგებას ახორციელებს „ცეკავშირის“ ვაჭრობის სამმართველოს კულტსაქონლის განყოფილება თავისი ხუთი ბაზის მეშვეობით, რომლებიც თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისსა და სამტრედიაში არსებობენ.

საქონლის შეზიდვა ამა თუ იმ რაიონში ძირითადად ხდება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოსა და განათლების სამინისტროს დაკვეთით. მარტო გასულ წელს რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და სპორტსმენებმა შეიძინეს 6 მილიონი მანეთის 48 სახის საქონელი, მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სარეალიზაციოდ გაიგზავნა 2.600 ათასი მანეთის სპორტული ნაწარმი.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას — შესაძლებელი იყო კიდევ უფრო მეტის გაკეთება. იმის გამო, რომ აქ დღემდე ვერ მოახერხეს ხელშეკრულების გაფორმება თბილისის სპორტნაწარმის ფაბრიკა-ქარხნებთან, ვერ ღებულობენ საკმაო როდენობის მზა პროდუქციას და კულტსაქონლის განყოფილება იძულებულია დანაკლისი აინაზღაუროს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოზიდული საქონლით. საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ამ გზით წელს უნდა მიიღონ 4,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც საგრძნობლად აძნელებს რაიონების დროულად მომარაგებას, იწვევს საქონლის „ჩაწოლას“.

შარშან სწორედ ამის გამო დარჩა ნაშთი აჭარაში, სამტრედიისა და თბილისის უნივერსალურ ბაზებში. მარტო აჭარაში გაუსაღებელია ათეული ათასობით მანეთის ტანვარჯიშული ლეიბები, ფეხბურთის კარის ბადეები, ჩოგნები, ხელყუმბარები; სამტრედიის ბაზაში — კალათბურთის ბადეები, სპორტული და ტურისტული ველოსიპედები, საწონები; ცენტრალურ ბაზაში — საჭიდაო ფიტულები, ბირთვები, ბაგირები და სხვ.

ცუდად იმუშავეს ზესტაფონის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ლაგოდეხის რაიკოოპკავშირებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაუსაღებიათ წლების განმავლობაში შეტანილი სპორტული საქონელი.

ხშირად ხდება, რომ რაიკოოპკავშირის გამგეობათა ხელმძღვანელები ანგარიშს არ უწევენ ფიზკულტურული ორგანიზაციების მოთხოვნებს, არ ცდილობენ რაიონში შეიტანონ აუცილებელი სპორტული საქონელი. ეს განსაკუთრებით ითქმის კაჭრეთის, დუშეთისა და თიანეთის რაიკოოპკავშირების შესახებ. და ეს მაშინ, როცა მოთხოვნილება დიდია და ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები იძულებული არიან დედაქალაქის სავაჭრო ორგანოებს მიმართონ მათთვის საჭირო ინვენტარის შესაძენად.

ერთგვარ უგეგმობას, სპეციფიკის გაუთვალისწინებლობას აქვს ადგილი საქონლის განაწილების საქმეში. ხშირად ამა თუ იმ რაიონში აგზავნიან ისეთ საქონელს, რომელიც აქ სრულიადაც არ ჭირდებათ და ამის გამო საქონელი რეალიზაციის გარეშე რჩება. მაგალითად, სოხუმში და აფხაზეთის სხვა რაიონებში თავზე საყრელია სათხილამურო კოსტიუმები, თოვლიან რაიონებში კი მათ წამლად ვერ იშოვნით.

ახალქალაქის რაიონში დღემდე გასასაღებელია 50 წყვილი სამთო თხილამურები. აქ კი თხილამურებს არავინ ყიდულობს, ვინაიდან არ არის სამთო სახეობებში სავარჯიშო ადგილი. ხშირია შემთხვევა, როცა ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციები საჭიროებისა და შესაძლებლობათა საფუძვლიანი შესწავლის გარეშე აძლევენ დაკვეთას რაიკოოპკავშირს სპორტნაწარმის შეზიდვის შესახებ. მაგალითად, ფიზკულტურისა და სპორტის ხაშურის რაიონულმა კომიტეტმა და „კოლმეურნის“ რაისაბჭომ შარშან მოითხოვეს მხოლოდ ოთხი სახის ინვენტარი —შტანგა, კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთები და საჭიდაო ჩოხები. ამ რაიონის მთელ რიგ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს კი არ გააჩნიათ სხვა სახეობის ინვენტარი. მეორე უკიდურესობაში ჩავარდნენ გეგეჭკორელები, რომლებმაც 1,5 მილიონი მანეთის სპორტსაქონლის შეზიდვა მოითხოვეს.

**ვ. ხანდამიშვილი**

## ცუდად გვამარაგებენ, არ არის ფართო ასორტიმენტის საქონელი! — გვწერენ ჩვენი კორესპონდენტები ბათუმიდან, სოხუმიდან, რუსთავიდან, გორიდან, წყალტუბოდან, თელავიდან

# ჩვენი რეიდი თბილისში

ჩვენ გადავწყვიტეთ გავცნობოდით, თუ როგორ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას თბილისის სპორტული მაღაზიები. რეიდმა გვიჩვენა, რომ ქალაქის სპორტინვენტარით მომარაგების საქმეში ჯერ კიდევ ფეხმოდგმულია გასულ წლებში არსებული ნაკლოვანებანი.

როცა „თბილმრეწვავაჭრობის" 78-ე სპორტულ მაღაზიაში (დირექტორი ზ. რუხაძე) გეგმების შესრულებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აქ სიამაყის გრძნობით განაცხადეს, რომ ისინი ერთ-ერთი მოწინავეთაგანი არიან დედაქალაქში. მაგრამ თუ საქმის არსს უფრო ღრმად ჩავწვდებით, დავინახავთ, რომ გეგმის შესრულება აქ ძირითადად გადაწყვეტილია არასპორტული საქონლით ვაჭრობის ხარჯზე.

მაღაზიის სექციების თაროების ნახევარზე მეტი უკავია საგალანტერიო საქონელს: ქალის შალის კოსტუმებს, კაპრონის წინდებს, სხვადასხვა ნაწარმს, რომლებსაც თავსაყრელად იშოვით სხვა მაღაზიებშიც. „სამაგიეროდ" აქ თითქმის არასოდეს არა ჰქონიათ ტანვარჯიშული კედელი და სკამები, მაგიდები ჩოგბურთისათვის, იშვიათად შემოაქვთ ბუცები, კედები, თითქმის ორი წელია სარეალიზაციოდ არ მოუტანიათ საწვრთნელი კოსტიუმები, რეიტუზები, ველოტრუსები და სხვ. ჩვენის აზრით, მაღაზიას რომ ყველა საჭირო სპორტული საქონლით ამარაგებდეს „მთავარკულტვაჭრობა" და „მთავარფეხსაცმელვაჭრობა" გეგმების შესრულებისათვის საჭირო აღარ იქნებოდა არასპეციფიკური საქონლის შემოტანა და მომხმარებლებზ — სპორტული ორგანიზაციები, კმაყოფილი იქნებოდნენ.

შედარებით უკეთ ასრულებს ამოცანას „თბილმრეწვავაჭრობის" 105-ე სპორტული მაღაზია (გამგე მ. ციციაშვილი), რომელიც ამას წინათ სიგელით იქნა დაჯილდოებული ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ. დახლის მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ დროულად შემოზიდონ ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ დაკვეთილი საქონელი, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ მათს მონდომებასა და სურვილზე როდია დამოკიდებული, ხოლო მაღაზიის მომმარაგებლები მაინცდამაინც არ იწუხებენ თავს. საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებით თუ არა, სხვა რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აქ უკანასკნელი წლების განმავლობაში მხოლოდ ორი (!) ტანვარჯიშული მაგიდა შემოიტანეს და გაყიდეს. რაც შეეხება ჩოხებს ქართული ჭიდაობისათვის, ტანვარჯიშულ დრეკაბოგებს, რეზინის ბილიკებს აუზებისათვის და სპორტულ ველოსიპედებს, თვით მაღაზიის მუშაკებსაც არ ახსოვთ როდის ჰქონდათ ეს საქონელი უკანასკნელად.

დიდი ხანია აქ არ გაყიდულა მაღალხარისხოვანი საცურაო კოსტიუმები ქალებისათვის. დიდი მოთხოვნილებაა რეზინისა და ტყავის ნაწარმზე, განსაკუთრებით ფეხსაცმელზე. მიუხედავად მომხმარებელთა დაჟინებითი თხოვნისა, აქ დღემდე არა აქვთ კრივის ხელთათმანები, შტანგისტთა ფეხსაცმლები.

არასპორტული საქონლით ამ მაღაზიაშიც ფართოდ ვაჭრობენ, მაგრამ ამ მხრივ ყველას გადააჭარბა № 12-მა სპორტულმა მაღაზიამ (გამგე ა. ხუციშვილი), რომელსაც ერთი წლის წინათ მხოლოდ აზრა ჰქონდა „სპორტული მაღაზია", თაროები კი სავსე იყო ტელევიზორებით, რადიომიმღებებით, სხვადასხვა არასპორტული ტრიკოტაჟის ნაწარმით, ქალის წინდებით, თავსაფრებითა და ვინ მოთვლის კიდევ რით.

ზემდგომი ორგანოების საქმეში ჩარევის შემდეგ მიმდინარე წლის დასაწყისიდან მაღაზიას აეკრძალა ტელევიზორებითა და რადიომიმღებებით ვაჭრობა, მაგრამ თავისებური „კონტრაბანდის" სახით დღემდე დარჩა სხვა ნაწარმი. საკმარისია შეხედოთ ამ მაღაზიის ვიტრინას, რომ ნათელი შეიქნეს თუ რამდენად „შეესაბამება" იგი აზრას. ამას წინათ აქ ერთ საინტერესო ფაქტს წავაწყდით. ერთადერთ დრეკაბოგს, რომელიც აქ სარეალიზაციოდ გამოიტანეს, იმდენი მსურველი აღმოაჩნდა, რომ მომხმარებელთა შორის დავა ატყდა. მაღაზიაში ძირითადად შეიძლება იშოვოთ მხოლოდ ორძელი, ლერძი, ხარიხა და ტაიჭი. ამ მაღაზიას სათანადო საწყობი არ გააჩნია და მყიდველები იძულებული არიან საქონელი მიიღონ დამამზადებელ ორგანიზაციაში და არა მაღაზიაში, როგორც ეს წესია.

კიდევ ერთი ფაქტი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ დიდიხანია მაღაზიას დაუკვეთა მძლეოსნური თარჯები. როგორც მაღაზიის გამგემ ა. ხუციშვილმა გვითხრა, კათედრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჯერჯერობით შეუძლებელია.

ცხადია, თბილისის სპორტული მაღაზიები და მათი მომმარაგებლები— „მთავარკულტვაჭრობა", „მთავარფეხსაცმელვაჭრობა" და სხვები სათანადოდ ვერ ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ ამოცანებს, ცუდად იბრძვიან რესპუბლიკაში იმ სპორტული საქონლის საკმაო რაოდენობით შემოზიდვისათვის, რომელიც უშუალოდ საქართველოში არ მზადდება.

რესპუბლიკის სავაჭრო დაწესებულებებმა აქედანვე უნდა გაითვალისწინონ მათს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი, მეტი და მაღალხარისხოვანი ინვენტარით მოამარაგონ რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები, რათა ჩვენს სპორტსმენებს საშუალება ექნეთ უკეთესად მოემზადონ მომავალი შეჯიბრებებისათვის.

ნ. ვეფხვაძე,
ა. თალაკვაძე,
ი. ჩრდილელი.

## არ არის გათვალისწინებული ჩვენი მოთხოვნილებანი

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის № 769 ბრძანების საფუძველზე აჭარის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შესაბამისად წარმართეს საქმიანობა. უკვე გაიმართა შეჯიბრებათა პირველი ტური სპორტის მთელ რიგ სახეობებში. სპორტლონისძიებათა რაოდენობის საგრძნობი გაზრდა მოითხოვს გაცილებით მეტ სპორტულ საქონელს, რამაც საგრძნობლად გაზარდა სავაჭრო ორგანიზაციების როლი.

სპორტინვენტარით მომარაგების საქმეში ბათუმის ფიზკულტურულ კოლექტივებს მომსახურებას უწევს „ბათუმვაჭრობის" სპორტული მაღაზია.

მაღაზიაში მხოლოდ ერთი ფერის მაისურებს იყიდება. ამის გამო შეჯიბრებაში მონაწილე გუნდებს საშუალება არა აქვთ მოედანზე გამოვიდნენ განსხვავებული ფერის ფორმით და საქმე ზოგჯერ კურიოზამდეც მიდის ხოლმე. ფართო ასორტიმენტის საქონლის უქონლობის გამო ფრენბურთელები იძულებული არიან ფეხბურთელთა ტრუსები შეიძინონ. მაღაზიაში ვერ იშოვით დიდი ზომის სპორტფეხსაცმელებს და ა. შ.

„აჭარკოოპვაჭრობამ" ამას წინათ მიიღო 300 წყვილი უმაღლესი ხარისხის კედები, ჩვენს კალათბურთელებს კი ვარჯიში და შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება უხდებათ უხარისხო ფეხსაცმლებით, ვინაიდან დღემდე ვერ შევძელით დაგვედგინა თუ სად წავიდა ეს ძვირფასი საქონელი. ცუდად მარაგდება ოლქი მაღალი ხარისხის ბურთებით: განვლილ 6 თვეში აქ სულ ფეხბურთის 65, კალათბურთის 25 და ფრენბურთის 35 ბურთი მოიტანეს.

აჭარის მაღალმთიან რაიონებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სათხილამურო სპორტი. ჩვენი ნაკრები გუნდი, რომელიც რესპუბლიკურ პირველობებზე მონაწილეობს, ძირითადად აქაური სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ მიუხედავად არაერთგზისი მოთხოვნისა ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონებში სარეალიზაციოდ არავის შეაქვს მაღალი ხარისხის თხილამურები, ჯოხები, საცხი, სამაგრები.

შ. მამინაშვილი

## გვჭირდება სპეციალური მაღაზია

რუსთავის სპორტსმენთა ინვენტარით მომარაგებას ემსახურება კულტმაღაზია № 9 (გამგე ა. მაჩაიძე), რომელიც ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ სპორტსმენთა მზარდ მოთხოვნილებას. მაღაზიაში არ იშოვნება რეზინისძირიანი ჩუსტები, კედები, ტანვარჯიშული იარაღები და მოწყობილობა, ველოსიპედის საბურავები, იგრძნობა ნაკლებობა ტრუსებითა და მაისურებით მომარაგების მხრივ. თუ რამე არის, ისიც ერთი ფერისა და პატარა ზომისაა.

ამას წინათ რუსთავში აშენდა ახალი სპორტდარბაზი, მაგრამ მისი გახსნა არ ხერხდება, რადგან ვერსად შეძლეს საჭირო სპორტინვენტარისა და მოწყობილობის შეძენა. ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა რამდენიმეჯერ დასვა საკითხი სპორტული საქონლით მოვაჭრე სპეციალური მაღაზიის გახსნის შესახებ, ქალაქის საბჭოს აღმასკომმაც მიიღო შესაფერისი დადგენილება, მაგრამ შედეგი დღემდე არ ჩანს.

მეტალურგთა ქალაქს უნდა ჰქონდეს სპორტული საქონლის სპეციალური მაღაზია, რომელიც მომსახურებას გაუწევს ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და სპორტსმენებს.

გ. ბუიშვილი

## დავა გრძელდება

ისევე, როგორც სხვაგან, წყალტუბოშიც დიდი მოთხოვნილებაა სპორტინვენტარზე. მაგრამ აქ დღემდე არაფერი ეშველა საკითხის გადაჭრას. სანამ მიმდინარეობს დავა იმის შესახებ თუ ვის უნდა მიენდოს სპორტსაქონლის შემოზიდვა, „კურორტვაჭრობას", თუ სამომხმარებლო კოოპერაციას, რაიონის ფიზკულტურული კოლექტივები განიცდიან სპორტინვენტარისა და საქონლის სიმცირეს.

საჭიროა საკითხის დროული მოგვარება, თუმცა დანაშაული არ იქნებოდა სპორტინვენტარი შემოეზიდათ რაიკავშირსაც და „კურორტვაჭრობასაც" და მათი რეალიზაცია ერთ-ერთი მაღაზიისათვის დაეკისრებინათ.

ზ. კახიძე

## საქონელს უგეგმოდ ანაწილებენ

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა სპორტული საქონლით ვაჭრობა „აფხაზვაჭრობის" სოხუმის 77-ე სპეციალურ მაღაზიაში. გაიზარდა საქონლის გასაღების პროცენტული რაოდენობა, მაგრამ მაღაზია მაინც საგრძნობლად ჩამორჩება იმ გაზრდილ მოთხოვნილებებს, რომელსაც მას უყენებენ ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციები. ეს იმითაა გამოწვეული, რომ „აფხაზვაჭრობის" ფეხსაცმლის ბაზა სპორტული ფეხსაცმლებით უკეთესად ამარაგებს ქალაქის სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს, ვიდრე ზევით აღნიშნულ მაღაზიას.

აქ ხშირად განიცდიან სპორტის თითქმის ყველა სახეობისათვის საჭირო ფეხსაცმლების, მაისურებისა და ტრუსების ნაკლებობას, სამაგიეროდ რამდენიც გნებავთ შეიძლება შეიძინოთ სათხილამურო კოსტიუმები, რომელზეც აფხაზეთში ერთობ მცირე მოთხოვნილებაა. ეს გამოწვეულია იმით, რომ, სავაჭრო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ უგეგმოდ ანაწილებენ საქონელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო აფხაზეთის რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მათთვის საჭირო სპორტინვენტარისა თუ სხვა საქონლის საშოვნელად ხშირად უხდებათ მგზავრობა თბილისში და უფრო შორსაც კი.

ჯ. ანთია

## მაღაზია მოუწყობელია

„საქვაჭრობის" თელავის განყოფილების სპორტმაღაზია მომსახურებას უწევს არა მარტო თელავის, არამედ ყვარლის, გურჯაანისა და კახეთის ზონის სხვა რაიონებსაც, მაგრამ მაღაზიაში ყველაფერი ჯერ კიდევ როდია წესრიგში. მაღაზია პატარაა, ამიტომ გამყიდველები იძულებული არიან მიღებული საქონელი მაღაზიიდან შორი მანძილით დაცილებულ საწყობში შეინახონ, რაც ერთგვარად აბრკოლებს ვაჭრობას.

სარეალიზაციოდ იშვიათად იშოვნით ქართული ჭიდაობის ჩოხებს, რეზინის ფეხსაცმელს, მაღალი ხარისხის ბუცებს, საწვრთნელ კოსტიუმებსა და სხვა სპორტსაქონელს.

ახლა, როცა აღნიშნული რაიონების ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი სპარტაკიადისათვის, სპორტსაქონლით მათ მომარაგებას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს.

ვ. ყუშიტაშვილი

გორში ერთი წელია, რაც ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციების გადაწყვეტილებით გადაკეთდა „გორუნივერმაღის" № 12 მაღაზია (გამგე შ. მამისთვალოვი) სპორტსაქონლის მაღაზიად. პირველ ხანებში აქ საკმაო რაოდენობით იყო კრივის, ძალოსნობის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ფეხბურთისა და სხვა ინვენტარი, მაგრამ ისინი გაიყიდა, თაროები დაცარიელდა, ახალი საქონლის მოტანაზე კი თავს არავინ იწუხებს. მათს ნაცვლად თაროებზე გაჩნდა სხვადასხვა სახის შალისა და ბამბის ნაწარმი, გალანტერია, პარფიუმერია. მართალია, აქ ჯერ კიდევ იშოვნით ზოგიერთი სახეობის სპორტულ საქონელს, მაგრამ იგი იმდენად მცირეა, რომ მაღაზიამ თითქმის მთლიანად დაკარგა სპეციფიკური სახე.

ვერ წააწყდებით სპორტულ ინვენტარს მაღაზია № 14-ს სპორტულ სექციაშიც.

გ. რონიაშვილი

• • •

სურათებზე: გორის სპორტული მაღაზიის ვიტრინა (მარცხნივ) და თაროები; ორივე სურათი ნათელჰყოფს, თუ როგორ „შეავიწროვა" ფართო მოხმარების სხვა საქონელმა სპორტული საქონელი.






# სტუდენტთა სპორტული თამაშები

(დასასრული)

საინტერესო ბრძოლის შემდეგ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების ვ. ივანოვისა და ვ. სუხანოვის გამარჯვებით დამთავრდა შეჯიბრება 800 და 5.000 მეტრზე რბენაში. ქალთა შორის 800 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი იყო აზერბაიჯანელი ნ. კისარევა.

**ი. მუკათერიძე**

## კალათბურთი

ზონალურ თამაშებში კალათბურთელთა შორის ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა და ქალთა თითო კოლექტივი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) გამოდის, მაშინ, როცა სომხეთის ოთხი, ხოლო აზერბაიჯანსა და მოლდავეთს — სამ-სამი გუნდი გამოჰყავთ. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით, უფრო სუსტი გუნდები ჰყავს.

კალათბურთელ სტუდენტთა ასპარეზობის პირველი დღე თითქმის ყოველგვარი „დრამატიზმის" გარეშე წარიმართა, ვინაიდან კენჭისყრამ სუსტი გუნდები ძლიერებთან დააწყვილა და ძალთა შეფარდებაც თამაშების დაწყების უკვე პირველსავე წუთებში იჩენდა თავს. იოლი გამარჯვებები მოიპოვეს ქალთა შორის: საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა — სომხეთის პედაგოგიურ ინსტიტუტთან — 79:19 და სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტმა — მოლდავეთის პედინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტთან — 58:33, ვაჟთა შორის: აზერბაიჯანის უნივერსიტეტმა — მოლდავეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან — 91:56, საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა — სომხეთის უნივერსიტეტთან — 82:37. გამონაკლისს შეადგენდა სომხეთისა და აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტების ვაჟთა გუნდების შეხვედრის დასაწყისი. ანგარიშია 60:47 აზერბაიჯანელთა სასარგებლოდ.

როცა მოლდავეთისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტების ქალთა გუნდების შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა, არავინ ეჭვობდა თამაშის საბოლოო შედეგში. ანგარიში იყო 13:2 აზერბაიჯანელთა სასარგებლოდ. მაგრამ მოხდა სრულიად საპირისპირო რამ: მოლდაველმა სპორტსმენებმა ძალების მაქსიმალური დაძაბვით გაათანაბრეს თამაში, რომლის ძირითადი დრო ფრედ — 25:25 დამთავრდა, ხოლო დამატებით დროში დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 33:29.

**შ. ჯულელი**

## მაგიდის ჩოგბურთი

უძლიერესის სახელისათვის სპორტის ამ სახეობაში იბრძვიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სომხეთის კონსერვატორიის, მოლდავეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და კონსერვატორიის გუნდები. თვითეულ გუნდში ორ-ორი ქალი და ვაჟი სპორტსმენია. შეჯიბრება, რომელიც ტარდება ოლიმპიური სისტემით, დაიწყო გუნდური შეხვედრებით.

პირველ დღეს საინტერესო ბრძოლა გაიმართა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სომხეთის კონსერვატორიის გუნდებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ლ. იზაშვილი, ა. ხანთაძე, ვ. ღარიბაშვილი და გ. გრიგოლია უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ თავიანთ მეტოქეებზე. აღსანიშნავია ქალების შეხვედრები, რომლებიც თბილისელმა სტუდენტებმა ყველა მოიგეს.

შეხვედრათა საერთო ანგარიშია 10:1 თბილისელ სტუდენტთა სასარგებლოდ. შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალები: ა. ხანთაძე-მ. ვაგრამიანი — 2:0, ლ. იზაშვილი-ი. ყიფიანი (სომხეთი)—2:0, ლ. იზაშვილი-მ. ვაგრამიანი—2:0, ა. ხანთაძე, ლ. იზაშვილი-მ. ვაგრამიანი, ი ყიფიანი — 2:0. ვაჟები: გ. გრიგოლია-ე. სარქისიანი — 2:1, ვ. ღარიბაშვილი-ო. მურადიანი 2:1, გ. გრიგოლია-ო. მურადიანი — 2:1, ვ. ღარიბაშვილი-ე. სარქისიანი — 2:0. გ. გრიგოლია, ვ. ღარიბაშვილი-ვ. სარქისიანი, ო, მურადიანი — 2:1. შერეულ წყვილთა შეხვედრაში სომხეთის გუნდმა უარი განაცხადა და მას წაგება ჩაეწერა.

**რ. ცაგარელი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
**თ. ნინოშვილი.**

## ტანვარჯიში

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დაიწყო შეჯიბრება ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობენ აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთისა და საქართველოს სტუდენტი სპორტსმენები.

ქალთა შეჯიბრებაში ოსტატთა პროგრამით გამოირჩევიან აზერბაიჯანისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტების წარმომადგენლები. სავალდებულო პროგრამაში ლიდერობა ხელთ იგდო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ჯულელმა, რომელიც პირველ ადგილზეა 37,1 ქულით. მან მაღალი შეფასებები მიიღო თავისუფალ ვარჯიშში — 9,5 ქულა, ორძელზე — 9,4 და ხტომებში — 9,2. მას მხოლოდ 0,4 ქულით ჩამორჩება სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. შარაბიძე.

ვაჟთა შორის ორი იარაღის გავლის შემდეგ დაწინაურდა სპორტის ოსტატი რ. კაჭახიძე. მეორე იარაღის შემდეგ წინ გავიდა ი. ამაშუკელი, მაგრამ განვლილ იქნა კიდევ ერთი იარაღი და დაწინაურდა ბაქოელი ბერეზოვსკი.

უკანასკნელ იარაღზე — ღერძზე რ. კაჭახიძემ შესანიშნავად შეასრულა ვარჯიში და 9,6 ქულა მიიღო. 54,1 ქულით იგი პირველ ადგილზეა სავალდებულო პროგრამის შემდეგ.

გუნდურ ჩათვლაში წინ არის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი.

**თ. ქუჩუკაშვილი**

# საერთაშორისო შეხვედრა

თბილისი, „დინამოს" სტადიონი. 30 ივნისი.

„დინამო" (თბილისი) — „პოლონია" (ქ. ბიტომი, პოლონეთი) — 6:2 (2:0).

„პოლონია": სკრომნი; დიმარჩიკი, ოლინიჩაკი, ტირონი; ნორლოხი, ვეროჩეკი; სონშადეკი, ტრამპიში, ვიდავსკი, ლიბერდა, კრასუცკი.

„დინამო": კოტრიკაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა; ხუნდაძე, ლოლობერიძე; დალაქიანი, ბარქაია (გაგნიძე), მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ვ. ფრიდმანი (ტალინი).

დინამოელებმა თამაში მეტისმეტი სიფრთხილით დაიწყეს, რაც კარგად გამოიყენეს პოლონელებმა და კოტრიკაძეს ორჯერ მოუხდა მეტად ძნელი ბურთების აღება ვიდავსკისა და ტრამპიშისაგან. მაგრამ შემდგომში თანდათან ცხადი გახდა, რომ თბილისელთა გუნდი გაცილებით ძლიერია, ვიდრე „პოლონია".

მე-12 წუთზე მესხმა გადაინაცვლა ცენტრში და გახსნა ანგარიში — 1:0, ხოლო 31-ე წუთზე მანვე შეძლო 4 მოწინააღმდეგე მცველის მოტყუება და მისი გადაცემიდან ბარქაიამ მეორე გოლი გაიტანა — 2:0.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა სწრაფად გაზარდეს ანგარიში 4-მდე (ბურთები გაიტანეს ბარქაიამ და იამანიძემ), მაგრამ საკმარისი იყო მათ შეენელებინათ იერიშები, პოლონელებმა ზედიზედ გაქვითეს 2 ბურთი.

მატჩის დასასრულს თბილისელებმა დაიბრუნეს ინიციატივა და თამაშმა ისევ „პოლონიას" კართან გადაინაცვლა. მელაშვილი ორჯერ გავიდა კარგ პოზიციაში და ორჯერვე ზუსტი დარტყმით დაამთავრა პარტნიორების მიერ გათამაშებული კომბინაციები.

მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ" ანგარიშით 6:2.

# სკვო (თბილისი)—„ტემპი" (მახაჩყალა)

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 29 ივნისი.

სკვო (თბილისი) — „ტემპი" (მახაჩყალა) — 3:1 (1:0).

სკვო: ივანოვი; გრიშინი, გაიხარაშვილი, ჭანჭალეიშვილი; მიროშნიკოვი, ხელაძე; მიქაძე, ნორაკიძე (მირონოვი), გორეშნევი, კურტანიძე, ქვლივიძე.

„ტემპი": ბურსანიდი; ვასილიევი, სევასტიანოვი, გრიგორიანცი; ბურლაკოვი, მოროზოვი; ჯაოშვილი, ცალიკოვი, დუბოვიცკი, მღებრიშვილი, აბდულაევი.

მსაჯი ს. რეზინკინი (ხარკოვი).

სულ ათიოდე წუთი იყო გასული თამაშის დაწყებიდან და „ტემპის" კართან 5 კუთხური საჯარიმო იქნა მოწოდებული. რამდენიმე ბურთი გაგზავნეს სტუმართა კარში არმიელთა თავდამსხმელებმა, თუმცა ამაში მათ მოწინააღმდეგის მცველებიც „ეხმარებოდნენ": სევასტიანოვისა და ბურლაკოვის მიერ კუთხურზე მოგერიებული ბურთები სულ მცირედით აცდა კარს.

22-ე წუთზე გათამაშებულ იქნა კომბინაცია გორეშნევი-ქვლივიძე. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მინდორს, მაგრამ მას მიუსწრო ნორაკიძემ და გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ, მე-8 წუთზე ნორაკიძემ ზუსტი გადაცემით გარღვევაზე გაიყვანა მიქაძე და ანგარიში გახდა 2:0. ცოტა ხნის შემდეგ თბილისელებმა უყურადღებოდ დატოვეს „ტემპის" მარცხენა შუამარბი მღებრიშვილი, რომელმაც ახლო მანძილიდან გაიტანა ერთი საპასუხო გოლი.

ეს იყო სტუმრების პირველი და უკანასკნელი წარმატება. შემდგომში ინიციატივა კვლავ არმიელთა მხარეს გადავიდა და კურტანიძემ ლამაზი თავური დარტყმით შეძლო მესამე ბურთის გატანა.

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა თბილისის გუნდმა.

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივლისისათვის
ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შახტიორი" | 12 | 5 | 3 | 4 | 11:14 | 13 |
| „სპარტაკი" | 8 | 4 | 4 | 0 | 22:10 | 12 |
| „ტორპედო" | 8 | 3 | 5 | 0 | 21:11 | 11 |
| „ზენიტი" | 9 | 4 | 3 | 2 | 16:11 | 11 |
| ცსკ მო | 8 | 4 | 2 | 2 | 15:7 | 10 |
| „ლოკომოტივი" | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 10 |
| „დინამო" თბ. | 10 | 4 | 2 | 4 | 16:25 | 10 |
| „დინამო" კ. | 9 | 2 | 5 | 2 | 16:13 | 9 |
| „დინამო" მ. | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი" | 10 | 1 | 5 | 4 | 7:14 | 7 |
| „ადმირალტ." | 11 | 3 | 0 | 8 | 17:30 | 6 |
| „მოლდოვა" | 11 | 0 | 5 | 6 | 12:27 | 5 |

• • •

⊙ **ლენინგრადი.** 26 ივნისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კიევი).

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „ზენიტმა".

• • •

⊙ **მოსკოვი.** 29 ივნისი. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი შეხვდა „შახტიორს" (სტალინო).

მატჩი მოიგეს არმიელებმა — 4:1.

# VI, შვედეთი 1958 წელი

## ბრაზილია — მსოფლიო ჩემპიონი

29 ივნისს, როგორც იქნა, გადაწყდა „მარათონული" საფეხბურთო დავა იმის შესახებ, თუ ვინ უფრო ძლიერია — სამხრეთ ამერიკა თუ ევროპა.

ამ დავამ გასტანა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ბოლო დღემდე — ფინალამდე, სადაც გავიდნენ სწორედ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის გუნდები: ბრაზილია და შვეცია.

50 ათასზე მეტი მაყურებელი მოუთმენლად ელოდა ფინალის დასაწყისს სტოკჰოლმის „როსუნდას" სტადიონზე. გავიდა სულ ერთი წუთი მსაჯის პირველი სასტვენიდან და ტრიბუნები გამაყრუებელი ყიჟინით შეხვდნენ შვედების პირველ წარმატებას: გოლი გაიტანა ლიდჰოლმმა — 1:0.

მაგრამ სულ მალე ბრაზილიელმა ვავამ გარინჩას მიწოდებიდან ჯერ გაათანაბრა ანგარიში — 1:1, ხოლო შემდეგ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1.

შესვენების შემდეგ ბრაზილიელებს აბსოლუტური უპირატესობა ჰქონდათ მინდორზე. შვედებმა ვერაფერი გააწყეს ვირტუოზულად მოთამაშე მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში და პელემ და ზაგალომ ანგარიში 4:1-მდე აიყვანეს. შვეციის ფეხბურთელებმა ერთ-ერთი თავიანთი მცირერიცხოვანი იერიში მეორე გოლით დაამთავრეს (სიმონსონი), მაგრამ პელემ მატჩის ბოლოს შეძლო მეხუთე ბურთის გატანა. მართალია, ანგარიში 4:2 დიდხანს ეწერა სტადიონის ტაბლოზე, მაგრამ ფინალის მსაჯმა მორის გიგმა (საფრანგეთი) მატჩის შემდეგ სამსაჯო ოთახში დაადასტურა მეხუთე გოლის გატანა.

ამრიგად, ბრაზილიელებმა მოიგეს ფინალური მატჩი ანგარიშით 5:2 და მოიპოვეს ჟიულ რიმეს თასი. შვედებს ერგოთ მეორე ადგილი.

• • •

28 ივნისს გეტებორგში, „ნიუ ულევის" სტადიონზე მესამე ადგილისათვის თამაშობდნენ საფრანგეთისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდები.

ეს უაღრესად საინტერესო მატჩი დამთავრდა საფრანგეთის ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 6:3.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ მდივნისა და განყოფილებების—3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამ. მცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03909